შპს „არკონ ჯგუფი“2 ოქტომბერი 2013წ

ქ. თბილისი მოსაშვილის 11, საიდენტიფიკაციო კოდი №404900853 , ტელ: 2230108

კონსტრუქციული დასკვნა

არსებული შენობა მდებარეობა ქ. თბილისში, კახეთის გ ზატკეცილი №110ა.

შენობა სამრეწველო ტიპისაა ზომრბით: 96X24.5მ. მალების რაოდენობა განივი

სამი ხოლო გრძივი მიმართულებით თექვსმეტი სართულის სიმაღლე შუა მალში განივი მიმართულებით 10მ. ხოლო განაპირა მალებში 6მ.

შენობა კარკასული ტიპისა კოლონები 40X40 , 40X60 მ. საძირკველი ორ საფეხურიანი წერტილოვანი ზომებით 1,5X1,5 მ.

გრუნტის ძირითად ქანებად მიჩნეულია - ფიქლებრივი თიხა მოყვითალო ფერის, თაბაშირიანი, ლურჯი ზოლებით, ძლიერ გამოფიტული საანგარიშო წინაღობა R=2.5კგძ/სმ2

სახურავი ორ ქანობიანი ასაწყობი გადახურვის მონოლითური რკინაბეტონის ფილებით შედგენილი , გარე პერიმეტრის კარკასის შემავსებელი სამშენებლო ბლოკი, განლაგებული რანდკოჭზე.

შენობის გარე პერიმეტრის სამ მალზე მდებარე კოლონები -ღერძებს შორის 7-11 გრძივი მიმართულებით და ა-გ განივი მიმართულებით გადახრილია საძირკვლების ჯდენის გამო, რამაც გამოიწვია შენობის ამ ფრაგმენტში გარე საყრდენი კედლის კოლონებიდან დაშორება და მათი დაბზარვა.

საძირკვლების ჯდენის მიზეზზად მიჩნეულია სამი წლის წინ დაზიანებული სასმელი წყლის მილიდან გამონადენი წყალი.

შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის პროექტი მიზნათ ისახავს არსებული შენობის დაზიანებული გრძივი მიმართულებით სამი მალის ხოლო განივი მიმართულებით ერთი მალის - სულ რვა კოლონის საძირკლების გამაგრების სამუშაოებს, რაც გულისხმობს საძირკვლის ძირის ფართის გასაზრდელადს არსებული წერტილოვანი საძირკვლების ერთმანეთთან დაკავშირებას რკინაბეტონის მონოლოთური ფილით და რანდკოჭებით .

სამონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად რაც ითვალისწინებს შენობის სარეაბილიტაციო ნაწილის საძირკვლების ეტაპობრივ გამაგრებას თვითოეულ მალზე ცალ-ცალკე და არა ერთდროულად, რომ არ გამოიწვიოთ არსებული შენობის მზიდი კარკასის დაზიანება, გარდა ამისა სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების წინ უნდა მოხდეს არსებული დაზიანებული საყრდენი კედლის დემონტაჟი და შენობის შიგნით სარეაბილიტაციო ნაწილში დამონტაჟებული ღვინის ცისტერნების სხვაგან გადატანა.

შენობის რეკონსტრუქცია-გამაგრების პროექტი არ ითვალისწინებს შენობის არქიტექტურული ფასადის ცვლილებას და მხოლოდ მიზნად ისახავს საძირკვლების გამაგრებით სამუშაოებს შენობის დაზიანებულ ფრაგმენტში

პროექტი დამუშავებულია მღვალ დონეზე და მიზანშეწონილადაამიჩნეული გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარებლად.

კონსტრუქტორი გიორგი გომელაური